პატრიარქის მისალმება მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის XXVIII გენერალური ასამბლეის მონაწილეებს

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ მისალმება გაუგზავნა მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის XXVIII ყოველწლიური გენერალური ასამბლეის მონაწილეებს.

მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის XXVIII ყოველწლიური გენერალური ასამბლეის ორგანიზატორებს, მონაწილეებსა და სტუმრებს

პატივცემულო სერგი ანატოლის ძე გავრილოვ – მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის პრეზიდენტო!

გენერალური ასამბლეის მონაწილენო და სტუმრებო, ძვირფასო ძმებო და დებო!

გულითადად მივესალმები ყველა თქვენგანს, შეკრებილთ კუნძულ კრეტაზე მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის XXVIII ყოველწლიური გენერალური ასამბლეის სხდომების ჩასატარებლად თემაზე: „მსოფლიოს მომავალი, ევროპის მომავალი პანდემიის შემდეგ“.

დღევანდელ რთულ პერიოდში კრების მონაწილეთა აზრები შემთხვევით არ არის მიმართული კორონავირუსული ინფექციის პრობლემისაკენ, რომელმაც მილიონობით ადამიანის ცხოვრება შეცვალა

და გლობალურ გამოწვევად იქცა მთელი მსოფლიოსათვის. ამ გამოწვევამ შვა ალარმიზმული შიში, ტკივილი, ახლობლების დაკარგვა და სიმწარე. მაგრამ მანვე შეუწყო ხელი ბევრ თანამედროვე ადამიანში ისეთი მაღალი ზნეობრივი თვისებების გამოვლინებას, როგორიცაა თავგანწირული სიყვარული, გულმოწყალება, მოყვასის მსახურება. უხილავ და მზაკვარ მტერთან ბრძოლის წინა ხაზზე პირველ რიგში ექიმები აღმოჩნდნენ. მათი მსახურება, საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის რისკი და თავგანწირვა გმირობის ნამდვილი მაგალითი გახდა. მედიცინის მუშაკებთან ერთად „წითელ ზონაში“ იმყოფებიან მღვდელმსახურებიც. ისინი ლოცვით ანუგეშებენ და ამხნევებენ დაავადებულთ, აზიარებენ ქრისტეს წმინდა საიდუმლოებს, გარდაცვლილთ კი აცილებენ გზასა ყოველთა კაცთასა. მართლმადიდებელ ეკლესიას ერთი დღითაც არ შეუწყვეტია თავისი მაცხოვნებელი მსახურება. თუმცა ეპიდემიამ ჩვენს ცხოვრებაში არცთუ ცოტა შეზღუდვები შემოიტანა, მნიშვნელოვნად შევიწროვდა ძმური ურიერთობის შესაძლებლობა, მართლმადიდებლური სიწმინდეების მოლოცვები და სხვადასხვა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების ქრისტიანთა ერთობლივი ლოცვები.

ბევრი ისეთი რამ, რასაც ჩვენ მივეჩვიეთ და ათეულობით წელი გვინარჩუნებდა მსოფლიო მართლმადიდებლობის ერთობას, ახლა სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. დღეს ჩვენ განსაკუთრებული ძალისხმევა მოგვეთხოვება, რათა ახალი მიდგომები ვიპოვოთ არსებული დაცალკევების გადასალახავად. კერძოდ, აუცილებლია, სოლიდარობის განტკიცება წამებული ძმების დასახმარებლად ახლო აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ აფრიკაში, კოსოვოსა და მეტოქიაში, უკრაინაში, ასევე ყველგან, სადაც ქრისტიანები იდევნებიან და სადაც მართლმადიდებელი ეკლესია იბრძვის თავისი ისტორიული, სულიერი და კუტურული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად.

ჩვენ ყველანი ახლა ვართ მოწმენი იმისა, რომ მსოფლიო მართლმადიდებლური ოჯახის სიმრთელეს დიდი ზიანი ადგება გახლეჩის გამო, რაც ანტიკანონიკურმა მოქმედებებმა გამოიწვია და რაც უკრაინაში განხეთქილების ლეგალიზაციაზეა მიმართული. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია დღემდე განიცდის დისკრიმინაციას, მის ტაძრებს კვლავ იტაცებენ, ცდილობენ, უფლებები შეუზღუდონ, მათ შორის, კანონმდებლობით დონეზე და იქამდეც კი, რომ იძულებით წაართვან მას საკუთარი სახელი. მართლმადიდებელთა გახლეჩვა უკრაინის საეკლესიო მოვლენების გამო, სამწუხაროდ, გამოვიდა მისი საზღვრებიდან და უკვე ზოგიერთი ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის შიგნით გავრცელდა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ კრიზისიდან გამოსავალი შესაძლებელია მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკურ გარდამოცემასთან დაბრუნების საფუძველზე და დიალოგისათვის გახსნილობის მზადყოფნაზე. მისი განახლებისაკენ გზების ძიებაში, დაე, მოთხოვნადი გახდეს მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის ჩარჩოებში თანამშრომლობის გამოცდილებაც.

ყველა თქვენგანს ვუსურვებ ღვთის შემწეობას და ღვთივკურთხეულ წარმატებებს მრავალსასარგებლო შრომებში სოლიდარობის განმკიცებისათვის, მართლმადიდებელი ერების შედუღაბებისა და ერთობისათვის.

+კირილე,

მოსკოვის და სრულიად რუსეთის პატრიარქი

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87766/